# ფინანსური ანგარიშგება

# შპს ექსპოგრაფის

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

# სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....

საქმიანობის შედეგები .....

განმარტებითი შენიშვნები .....

# ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა | საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი | შესადარისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 9084.00 | 2144.00 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 694040.00 | 647192.00 |
| გადახდილი ავანსები | 2605.00 | 2605.00 |
| მარაგები (მზა პროდუქცია) | 1048314.00 | 959852.00 |
| საინვესტიციო ქონება | 336481.00 | 271682.00 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 218716.00 | 364828.00 |
| ძირითადი საშუალებები | 194713.00 | 151065.00 |
| სულ აქტივები | 2503953.00 | 2399368.00 |
| **ვალდებულებები** | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | 13000.00 | 16600.00 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 207013.00 | 165.00 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0.00 | 550.00 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 26304.00 | 3.00 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 285743.00 | 232032.00 |
| სხვა ვალდებულებები | 0.00 | 4110.00 |
| სულ ვალდებულებები | 532060.00 | 253460.00 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 1971893.00 | 2145908.00 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 1971893.00 | 2145908.00 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 2503953.00 | 2399368.00 |

## ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 1,644,043.00 | 1,404,646.00 |
| საქონლის გაყიდვიდან | 1,616,896.00 | 1,309,290.00 |
| მომსახურების გაწევიდან | 24,681.00 | 95,356.00 |
| სხვა | 2,466.00 | - |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | (1,390,549.00) | (895,204.00) |
| საწყისი მარაგები | 959,852.00 | 862,537.00 |
| მარაგების შესყიდვა | 923,567.00 | 797,889.00 |
| საერთო მოგება | 253,494.00 | 509,442.00 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (151,406.00) | (155,852.00) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (24,296.00) | (41,652.00) |
| საპროცენტო ხარჯი : | (38,370.00) | (39,231.00) |
| იჯარის ხარჯი | (59,072.00) | (55,717.00) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (154,365.00) | (169,155.00) |
| სულ საოპერაციო ხარჯები | (427,509.00) | (461,607.00) |
| საოპერაციო მოგება | (174,015.00) | 47,835.00 |

# განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ექსპოგრაფი, რეგისტრირებულია საქართველოში ს/კ:204488081. კომპანიის იუდიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ლ. ასათიანის ქ., #60, ხოლო ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი N156. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სარეკლამო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. დამატებითი სფეროა გარე რეკლამების დამზადება.

## 2. მომზადების საფუძველი და სააღრიხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგბების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასი) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (GEL) წარმოდგენილი რიცხვები მოცემულია ლარებში.

ანგარიშგების წარდგენის მომენტში საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ, სამომავლოდ კომპანიის ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა თუ იძულებული არ იქნება რომ ასე მოიქცეს.

*<u>ამონაგების აღიარება</u>*

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

*<u>ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები</u>*

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი იქნა გაწეული.

*<u>მოგების გადასახადი</u>*

2017 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი (ესტონური) მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების (დივიდენდის) განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით. იმ შემთხვევაში თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ისეთი ტრანზაქციები რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალურ პირებთან, მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). დაიბეგრება მოგების გადასახადით 15/85 პროპორციით.

*<u>ძირითადი საშუალებები</u>*

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების რეალური შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

| | | |
|---|---|---|
| შენობა ნაგებობები | - | 50 წელი |
| კომპიუტერები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა | - | 5 წელი |
| საოფისე აღჭურვილობა | - | 5 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები | - | 5 წელი |
| სხვა აქტივები | - | 5 წელი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

*არამატერიალური აქტივი*

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ამორტიზაცია ერიცხება ნაშთზე, თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

*აქტივების გაუფასურება*

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში/ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში/ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში/ზარალში.

*იჯარა*

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება მოიჯარესათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობად აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

*მარაგები*

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

*სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში/ზარალში.

*სავაჭრო ვალდებულებები*

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

*ბანკის სესხი და ოვერდრაფტები*

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

*უცხოური ვალუტა*

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს **2.8677** ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს **3.2095** ლარს და ერთი რუსული რუბლისთვის შეადგენს **4.6423** ლარს.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილი ოპერაციის განხორციელების დღის კურსით) გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.